ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 11/56

2024 წლის 25 ნოემბერი

ქალაქი ფოთი

**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის შენიშვნებით დაბრუნების თაობაზე**

საკრებულო აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 91–ე მუხლის, მე–4 პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78–ე მუხლის მე–3 პუნქტის შესაბამისად, ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო არაუგვიანეს 25 ნოემბრისა ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მუნიციპალიტეტის მერს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებს და ფრაქციებს დადგენილების პროექტთან ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დაკავშირებით გააჩნიათ შენიშვნები.

ამდენად, მიზანშეწონილია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" შენიშვნებით დაუბრუნდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე:**

**მუხლი1.**
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" შენიშვნებით დაუბრუნდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების და ფრაქციების დასკვნები თან ერთვის).

**მუხლი2.**
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნული განკარგულების შესრულებასთან დაკავშირებით გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

**მუხლი3.**
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

**მუხლი4.**
განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **ალექსანდრე ტყებუჩავა**

ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ეროვნული ბანკი *215138143*

# ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
## საფინანსო–საბიუჯეტო კომისია

11/18 22.11.2024 წ.

## დ ა ს კ ვ ნ ა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", თანდართულ მასალებთან ერთად.

კომისია ეთანხმება წარმოდგენილ პროექტს და მიზანშეწონილად მიაჩნია, დადგენილების პროექტი ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დაუბრუნდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, საკრებულოს კომისიებიდან და ფრაქციებიდან შემოსული შენიშვნა–რეკომენდაციების გათვალისწინებით (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე თემური დუნდუა

# ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
## სოციალურ საკითხთა კომისია

#07 22.11.2024 წელი

## დ ა ს კ ვ ნ ა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" (შემდგომში -ბიუჯეტის პროექტი).

კომისიას წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, გააჩნია შემდეგი შენიშვნები(რეკომენდაცია)

1. ბიუჯეტის პროექტის ქვეპროგრამაში პროგრამული კოდი **(06 04 02 )შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად** მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარება გაიზარდოს 50 ლარის ნაცვლად 100 ლარამდე.
2. ბიუჯეტის პროექტის ქვეპროგრამაში პროგრამული კოდი **(06 04 18) შევიდეს შემდეგი ცვლილება და ჩამოყალიბდეს** შემდეგნაირად პროგრამის ფარგლებში დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება წელიწადში ერთხელ 100 ლარის ნაცვლად მიეცეს 500 ლარი.

   არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში, ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნას ახალი ქვეპროგრამა

3. ფარისებრი ჯირკვლის კვლევა 18 წლამდე მოზარდთათვის წელიწადში ერთხელ 200 ლარამდე დაფინანსდეს.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ვეკუა

# საქართველო

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

№ 11/31 22 ნოემბერი 2024 წელი

## დ ა ს კ ვ ნ ა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ განიხილა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

კომისიას ქონებისა და ბუნებრივი რესურსების კუთხით დადგენილების პროექტში შენიშვნები არ გააჩნია

კომისიის თავმჯდომარე თორნიკე ხარჩილავა

# საქართველო

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია

№10/8 21 ნოემბერი 2024 წელი

## დასკვნა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ განიხილა საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ".

კომისიას დადგენილების პროექტთან გააჩნია შემდეგი შენიშვნები, კერძოდ:

1. (0204) - ბინათმშენებლობა - დაემატოს 800,0 ათ. ლარი.
2. 02.04.01 მრავალსართულიანი ს/სახლების ფასადების, სახურავებისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია - დაემატოს 1500,0 ათ. ლარი.
3. 02.06.01 საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია- დაემატოს 900,0 ათ. ლარი.

გაზრდილი ფინანსური რესურსების არსებობის შემთხვევაში, გათვალისწინებულ იქნას ავარიული კორპუსების გამაგრება, ავარიული ხიდების რეაბილიტაცია ან ახლის მოწყობა, გაიზარდოს გზების რეაბილიტაცია

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებითი შესწავლის და სრულყოფილად განხილვის მიზნით დადგენილების პროექტი ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დაუბრუნდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს.

კომისიის თავმჯდომარე ბექა მორჩილაძე

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

N6/1 25 ნოემბერი, 2024 წელი

### დასკვნა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ".

**ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ დაადგინა:**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 77-ე და 78-ე მუხლების შესაბამისად, საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ".

კომისიას დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სამართლებრივი შენიშვნა არ გააჩნია.

რაც შეეხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს სამართლებრივი აქტის პროექტის დასაბუთებასა და მიზანშეწონილობას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ეკისრება პროექტის ავტორს.

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **ნიკა კორშია**

# საქართველო

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
## ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

N12/1 21 ნოემბერი, 2024 წელი.

## დ ა ს კ ვ ნ ა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველომ“ განიხილა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

ფრაქცია მხარს უჭერს წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტს „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შემდეგი შენიშვნების (რეკომენდაცია) გათვალისწინებით:

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიზანშეწონილად მიაჩნია: კერძოდ,

1. არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, ქალაქში განვითარებულ და მოწესრიგებულ იქნას საგზაო ინფრასტრუქტურა.
2. არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნას მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის, ფასადების განახლებისა და იერსახის მოწესრიგებისათვის საჭირო თანხები.
3. არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნას ეზოების კეთილმოწყობის, სავარჯიშო ტრენაჟორებისა და ატრაქციონების შესაძენად საჭირო თანხები.
4. არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნას ავარიული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციისათვის საჭირო თანხები.
5. არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნას მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების შიდა საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-მოწესრიგებისათვის საჭირო თანხები.
6. არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნას კუნძულ კოლიმბართან არსებული ხიდის რეაბილიტაციისათვის საჭირო თანხები.

ამდენად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოხსენებული შენიშვნების (რეკომენდაცია) გათვალისწინების მიზნით საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დაუბრუნდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული
საქართველოს“ თავმჯდომარე სანდრო ქუშაშვილი

# ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

22.11.2024

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-მ განიხილა საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

ფრაქციას წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გააჩნია შემდეგი შენიშვნები და მიაჩნია, რომ ქვემოთჩამოთვლილი შენიშვნები „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში“ უნდა იქნეს გათვალისწინებული (ქვემოთჩამოთვლილი პრობლემების ნაწილთა მოგვარებას ვითხოვდით 2024 წლის ბიუჯეტის შედგენის დროსაც).

პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ჩატარებული „ბავშვთა კეთილდღეობის გამოკვლევის“ შედეგების თანახმად, ბავშვების 35% სკოლაში არასდროს იკვებება, ხოლო დანარჩენი 65% განიცდის ნაწილობრივ შიმშილს.
ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია რომ ჩვენმა მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს პროგრამა და აისახოს 2025 წლის ბიუჯეტში.

ზამბაზიძის, თამარ მეფის(აღმაშენებლიდან 9 აპრილამდე) , კაკულიას, ელადას, პაიჭაძის, პუშკინის, შევჩენკოს ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

გურიის ქუჩის № 210 მიმდებარე ტერიტორიაზესანიაღვრე არხების მოწყობა.
ჭანტურიას ქუჩის ტროტუარებისა და ჭანტურიას ქუჩა № 7,9,11- ფასადების რეაბილიტაცია,
9 აპრილის № 8,10,12 და ლიეპაიას № -------- ფასადების რეაბილიტაცია.

მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარის მოწყობა.
უპატრონო ცხოველების პრობლემა წლების მანძილზე ღრმავდება და სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკის შედეგად საკმაოდ დამძიმდა, განსაკუთრებით რეგიონებში. ერთადერთი სწორი, შედეგზე გათვლილი ქმედებაა კასტრაცია-სტერილიზაციის მასობრივი პროგრამა, ანუ პოპულაციის ხელოვნურად შემცირება, რასაც თანამედროვე სტანდარტების თავშესაფრები სჭირდება ყველა რეგიონში და საზოგადოების ინფორმირება, რომ სტერილიზებული და კასტრირებული ძაღლები მაქსიმალურად იყვნენ დაცულნი მოსახლეობის აგრესიისგან. ეს პრობლემა ქალაქში მწვავედ დგას და უნდა მოხვდეს ქუჩების განტვირთვა მიუსაფარი ცხოველებისგან. ამასთან ერთად ჰუმანურობის პრინციპის დაცვით რათა არ მიადგეს ზიანი როგორც მოქალაქეებს ასევე

ცხოველებს უნდა მოეწყოს თვშესაფარი სადაც ცხოველებს გაუწევენ სამედიცინო დახმარებას, ასევე მოხდება მათი სტერილიზაცია- კასტრაცია პოპულაციის შემცირების მიზნით.

მდინარე კაპარჭინაზე გადასასვლელი ხიდების რეაბილიტაცია.(გარდა იმისა რომ კოლიმბარის კუნძულზე ცხოვრობენ ოჯახები, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ზემოთხსენებული ხიდების არსებობა მნიშვნელოვანია როგორც პალიასტომის ტბაზე თევზის რეწვის განხორციელებისათვის, ასევე მესაქონლეობისათვის.)

სოციალური სახლის მშენებლობის პროექტირება. (ქალაქის ტერიტორიაზე არის რამოდენიმე კომპაქტური დასახლება, სადაც ცხოვრობენ უსახლკარო ოჯახები, რომლებსაც არ გააჩნია საცხოვრებელი ფართი. არსებული ლოკაციები არ აკმაყოფილებს ადამიანისთვის საჭირო ელემენტარულ პირობებს, რაც სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია.

მარტოხელა მშობლების დახმარების გაზრდა.
მძიმე სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით ის სიმბოლური თანხა რასაც ქალაქი გასცემს 50 ლარის ოდენობით ელემენტარულ პრობლემებსაც ვერ უხსნის მათ ამიტომ მიგვაჩნია რომ მისი რაოდენობა გაიზარდოს 100 ლარის ოდენობით.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების გაზრდა

3 - შვილიან ოჯახს 50 ლარი - გაეზარდოს 100 ლარამდე
4 - შვილიან ოჯახს 100 ლარი - გაეზარდოს 150 ლარამდე
5 - შვილიან ოჯახს 190 ლარი - გაეზარდოს 240 ლარამდე
6 - შვილიან ოჯახს 220 ლარი - გაეზარდოს 270 ლარამდე
7 - შვილიან ოჯახს 300 ლარი - გაეზარდოს 350 ლარამდე
8 - შვილიან ოჯახს 450 ლარი - გაეზარდოს 500 ლარამდე

სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამის გაზრდა.
მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, ონკოლოგიური დაავადებების (ავთვისებიანი სიმსივნე, ლეიკემია) მქონე მოქალაქეების, ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ხელმისაწვდომობას, სხვადასხვა დაავადების მკურნალობის ხარჯების, ძვირადღირებული ოპერაციების და ძვირადღირებული გამოკვლევების იმ კომპონენტის თანადაფინანსებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ან კერძო დაზღვევით. აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მოქალაქეებს, მკურნალობის ღირებულება დაუფინანსდეს გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციით (წინასწარი კალკულაცია) წარმოდგენილი თანხის სრულად 100 % - 2 000 ლარის ოდენობით ისევე როგორ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და/ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებს 100% - 2 000 ლარისა.

სკოლამდელი საამღზრდელოო დასაქმებულთა ხელფასი მინიმალურ ზღვარს უტოლდება და ქალაქმა დანამატის სახით გამოყოს 15 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 162 აღმზრდელი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალს დანამატის სახით გამოუყოს 200 ლარის ოდენობით.

ქალაქ ფოთის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს მიაჩნია, რომ დადგინდეს პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" უნდა დაუბრუნდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს ზემოთაღნიშნული შენიშვნების ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების მიზნით.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

22ნოემბერი 2024წელი

ქალაქ ფოთის მუნიციპელიტეტის ფოთი ,,საქართველოსთვის" ფრაქციის

# დ ა ს კ ვ ნ ა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფოთი ,,საქართველოსთვის" ფრაქციის სხდომამ განიხილა საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ".

ფრაქციას პროექტთან დაკავშირებით გააჩნია შემდეგი შენიშვნები:

1. კულტურულ ღონისძიებებს დაემატოს 40.0 ათ.ლარი საერთაშორისო კოდი 05.02.02 ფესტივალის ჩასატარებლად.
2. განვითარების ეტაპების დაყოვნების დიაგნოზის (R-62.0) მქონე ბავშვების დაფინანსება გაიზარდოს 700 ლარიდან 1350 ლარამდე.
3. საკონცერტო ასაწყობი სცენის შეძენა ეტაპობრივად (განათება, აპარატურა)-700,0 ათ.ლარი.
4. მრავალსართულიანი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია (300.0ლ 450.0ლ. კოდი 02.04.02
5. ცენტრალური პარკის ხელშეწყობა გაიზარდოს 2000.0 ლარამდე. კოდი 02.13.
6. უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია 298.9 ლ. გაიზარდოს 500.0ლ.
7. ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 370.0ლარიდან გაიზარდოს 550.0 ლარამდე.
8. ახალშობილთა ოჯახების დახმარება 30.0 ლარიდან გაიზარდოს 60.0 ლარამდე.

ფრაქცია ფოთი ,,საქართველოსთვის"

თავმჯდომარე

გიგლა თურქია